ქეთევან დარსანია
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი
2004 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი და მიენიჭა ფილოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხი. 2006 წლამდე ის სხვადასხვა დროს სწავლობდა ბრემენისა და ზაარლანდის უნივერსიტეტებში გერმანისტიკის განხრით, ასევე მოვოპებული აქვს გოეთეს ინსტიტუტის "მცირე გერმანული დიპლომი" (KDS).

2010 წლიდან დღემდე ქეთევან დარსანია მუშაობს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ხარისხის სამსახურში, ამ დროის განმავლობაში ის გახლდათ კურიკულუმის ექსპერტი და მუშაობდა ზუსტი და საბუნებისმეტყველო პროგრამების ხარისხის განვითარების საკითხებზე, მცირე დროით გახლდათ ფაკულტეტის დეკანის თანაშემწის მოვალეობის შემსრულებელი, ხოლო 2014 წლიდან კი, როგორც ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის სპეციალისტი, უცხო ენათა ფილოოგიის აკადემიური პროგრამების განახლება-განვითარებაზეა პასუხისმგებელი.

2006-2009 წლებში ის მუშაობდა კავკასიაში ჩეხური კომპანია TON-ის ოფიციალური წარმომადგენლობის გენერალურ მენეჯერად, ხოლო 2006 წლამდე კი მუშაობდა სამედიცინო ფირმა "კარდუ"-ს აღმასრულებელი დირექტორის თანაშემწედ.